დანართი №2

2018 წლის ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2018 წელს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ორგანიზაციული და სამეურნეო მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და კოლეჯის სასწავლო აუდიტორიების სრულფასოვნად აღჭურვის მიზნით 2018 წელს განხორციელდა საოფისე ინვენტარის შესყიდვა, კერძოდ სატენდერო წინადადების საფუძველზე შესყიდულ იქნა: საოფისე მაგიდები და ტუმბოები, მოსწავლის, მოსაცდელის და ეზოს სკამები, არქივის ოთახში მოწყობილ იქნა შესაბამისი სტელაჟები და თაროები, შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის საოფისე რბილი ავეჯი.

2. კოლეჯის შენობის სრული რეაბილიტაციის პროცესის დასრულების შემდგომ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციის და პერსონალის ახალ შენობაში გადმოსვლა და აღნიშნულ პროცესთან ერთად 2018 წლის მარტის თვეში წარმოებულ იქნა კოლეჯის მისამართის შეცვლასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

3. კოლეჯის მიერ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისა და იურიდიული მისამართის ცვლილებასთან ერთად განხორციელდა იურიდიული დოკუმენტაციის შემუშავება და სრულყოფა.

4. კოლეჯის მიერ განსახორციელებელი სარკინიგზო მიმართულების რვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვანი წარმართვის მიზნით, სს საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №24/1 და ამავე წლის 7 მაისის №9/17 დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა სს საქართველოს რკინიგზის სხვადსხვა სამუშაო ობიექტებიდან და დეპოებიდან კოლეჯისთვის პრაქტიკული სწავლების შესაბამისი აღჭურვილობის და სცბ-ს (რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება) სასწავლო ტრენაჟორის გადმოცემა. აგრეთვე კოლეჯის ეზოში100მ. უვარგისი და 100მ. ძველვარგისი რელსებით მოწყობილ ლიანდაგზე სათანადო წესების სრული დაცვით სასწავლო მიზნებისთვის მოწყობილ იქნა ისრული გადამყვანი.

5. საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, ასევე, განხორციელდა აუცილებელი მასალა-ნედლეულის იდენტიფიცირება, რომლის ძირითადი ნაწილის შეძენა მოხდა სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში გამოყოფილი ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. აგრეთვე, სს საქართველოს რკინიგზის მიერ გადმოცემულ იქნა პრაქტიკული სწავლებისთვის რკინიგზის ბაზაზე არსებული მასალა-ნედლეული, მაგ. საპირაპირო და შუალდეური სამაგრები, რელსის სახვრეტი მოწყობილობის ბურღები და სხვა.

6. 2018 წელს კოლეჯის მიერ წარმატებით დასრულებულ იქნა MCA-საქართველოს მიერ ISWD პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში კოლეჯში განხორციელდა არამარტო არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, არამედ კოლეჯს ასევე გადმოეცა რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობისა და ლოკომოტივის მართვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვნად განხორციელებისთვის ლოკომოტივ ვლ-10-ის და შტადლერის თანამედროვე სიმულატორები სრული პროგრამული უზრუნველყოფით და არსებული ინსტრქუტორების გადამზადების უზრუნველყოფით.

7. პერიოდულად ხდებოდა, როგორც კოლეჯის იურიდიული დოკუმენტაციის, ასევე განსახორციელებელი პროგრამების კატალოგის, MCA-საქართველოს მიერ ISWD პროგრამის

ფარგლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი სხვა ღონისძიებების კოლეჯის ვებ-გვერდზე განთვასება;

8. აქტიურად ხდებოდა კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულების კორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა, გაწეული საქმიანობის პერიოდული ანალიზი და შეფასება;

9. 2018 წლის 29 ნოემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით კოლეჯში ჩატარებულ იქნა ინვენტარიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებდა კოლეჯის აქტივების და რეალურად არსებული ნაშთების რაოდენობების სიზუსტის დადგენას განსაზღვრას.

2018 წელს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში საგანმანათლებლო მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. **2018 წლის 3 იანვრიდან** კოლეჯში განახლდა სამუშაოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დამატებითი ადამიანური რესურსის მოძიების და ახალი კვალიფიციური კადრების პროგრამების განხორციელების პროცესში ჩართვის მიზნით **2017 წლის 13 დეკემბრიდან 2018 წლის 14 იანვრის ჩათვლით** ინტერნეტ საიტზე ,,HR.GE" განხორციელდა ახალი პროფესიული მასწავლებლების ვაკანსიის გამოცხადება.

3. **2018 წლის 23 იანვარს** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიმართა საჯარო განხილვა ჩარჩო დოკუმენტების ,,რკინიგზის ძრავიანი ტრანსპორტი" და ,,რკინიგზის ოპერირება", თანდართული მოდულებისა და სხვა დოკუმენტაციის რედაქტირება-შეჯერების მიზნით.

4. **2018 წლის 31 იანვარს** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეტანილი იქნა დამატების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი" და ,,რკინიგზის ელექტრო მომარაგების მეურნეობა";

5. კოლეჯის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე დასაქმების მსურველებს შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ გასაუბრება **2018 წლის 5-9 თებერვალს** და მათგან შეირჩა პროფესიული მასწავლებლები;

6. გასაუბრების შედეგად შერჩეულ პროფესიულ მასწავლებლებს **2018 წლის 19-დან 23 თებერვლის** ჩათვლით ჩაუტარდათ ტრენინგები დუალური სწავლების მეთოდოლოგიის ძირითად საკითხებში;

7. განაცხადით წარდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში **2018 წლის 5, 6, და 7 მარტს** განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების ვიზიტი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

8. 2018 წლის **20 მარტს** გაიმართა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება: ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი" და ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა". ხოლო ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 140-პროფესიული სტუდენტით;

9. ,,რკინიგზის ძრავიანი ტრანსპორტის" და ,,რკინიგზის ოპერირების" ჩარჩო დოკუმენტების რედაქტირება-შეჯერების პროცესის დასრულების შემდგომ **2018 წლის 29 მარტს**

განხორციელდა აღნიშნული ორი ჩარჩო პროგრამის სტანდარტების და მოდულის პროექტების დარგობრივ საბჭოზე განხილვა-დამტკიცება, მათი რეესტრში ასახვა და ჩარჩო დოკუმენტებისთვის შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრისა და კოდის მინიჭება;

10. **2018 წლის აპრილიდან** დაიწყო ძრავიანი ტრანსპორტის ჩარჩო დოკუმენტში გაერთანებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ლოკომოტივის მართვა" და ,,სავაგონო მეურნეობა", ასევე რკინიგზის ოპერირების ჩარჩო დოკუმენტში შემავალი ,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა", ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება" და ,,სარკინიგზო გადაზიდვები"-ს საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით სამუშაოების წარმოება;

11. საგაზაფხულო მიღების ფარგლებში, სამ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტების მოზიდვის მიზნით **2018 წლის 16-21 აპრილს** განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა რეკრუტირების აქტივობა, რომელიც ფოკუსირებული იყო ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებაზე. აღნიშნულ ეტაპზე სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, მათი უმუშევარი ახლობლები, საქართველოს რკინიგზის მოქმედი თანამშრომლები და სხვა. საქართველოს **7 შერჩეულ ქალაქში** (ხაშური, სამტრედია, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, გარდაბანი და თბილისი) საჯარო სკოლებში გაიმართა პრეზენტაციები კოლეჯის დაარსების, გაწეული სამუშაოების, სარკინიგზო პროფესიების არსისა და პროფესიული პროგრამების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს რკინიგზის უშუალო მონაწილეობაზე სწავლის პროცესში და დუალური სწავლების არსზე და დასაქმების გარანტიებზე.

12. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა სწავლა დაიწყო **2018 წლის 30 მაისს.** გამოცხადებულ სამ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა **საგაზაფხულო რეგისტრაციის ეტაპზე** დარეგისტრირდა 26 აპლიკანტი და შესაბამისი შიდა კონკურსის და პროფესიული ტესტირების ეტაპების დამლევის შედეგად კოლეჯში ყველა სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე **ჩაირიცხა 18 პროფესიული სტუდენტი.**

13. რკინიგზის ძრავიანი ტრანსპორტის და რკინიგზის ოპერირების ჩარჩო პროგრამაში შემავალი ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხზე, 2018 წლის **20 და 21 აგვისტოს** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსოორტის კოლეჯში განხორციელდა განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების ვიზიტი, ხოლო 2018 წლის **7 სექტემბერს,** ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭა მათი განხორციერლების უფლება ჯამში **380 პროფესიული სტუდენტის სწავლების მიზნით;**

14. პროფესიულ სტუდენტთა საშემოდგომო მიღებისთვის კოლეჯში **2018 წლის 6-7 სექტემბერს** ჩატარდა ღია კარის დღეები, რომლის დროს ყველა მსურველს საშუალება ქონდა დაეთვალიერებინა კოლეჯის ახლად რეაბილიტირებული შენობა, სასწავალო აუდიტორიები და პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები, მოძრავი შემადგენლობის თანამედროვე სიმულატორები, სცბ ტრენაჟორი და სხვა. მათ მიეწოდათ სრული ინფორმაცია, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროგრამების თუ პრიორიტეტების შესახებ, კოლეჯში სწავლის წინაპირობების, წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის, ჩარიცხვის პროცედურის და დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობაზე, რომელიც ითვალისწინებს წრმატებით კურსდამთავრებულების უპირობო დასაქმებას. დამატებით პროფესიულ სტუდენტთა რეკრუტირება განხორციელდა რამოდენიმე სხვა მიმართულებით კერძოდ:

✓ სს საქართველოს რკინიგზის ყველა თანამშრომელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეგზავნათ ინფორმაცია პროფესიული სწავლებისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ შეთავაზებული პირობების შესახებ;

✓ საშემოდგომო მიღების შესახებ განცხადებები პერმანენტულად თავსდებოდა კოლეჯისა და მისი თანამშრომლების ფეისბუქ გვერდებზე;

✓ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსდა სრული ინფორმაცია, როგორც პროფესიული სტუდენტების საშემდგომო მიღების, ასევე რეკრუტირების მიზნით დაგეგმილი სხვა აქტივობის შესახებ;

✓ დამატებითი ინფორმაციის სრულფასოვანი მიღებისა და შემდგომი კონსულტაციის მიზნით ასევე მითითებულ იქნა პასუხისმგებელი პირების მობილური ტელეფონების ნომრები;

✓ კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული პროგრამების შესახებ მიცემულ იქნა ინტერვიუები სხვადასხვა ტელევიზიის წარმომადგენლების მიმართ;

✓ სს საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლების პროფესიული სწავლებაში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით სს საქართველოს რკინიგზის ქ. თბილისის, ხაშურის და სამტრედიის სალიანდაგო, სალოკომოტივო, სავაგონო, ელექტრომომარაგების, გადაზიდვების, სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია, ბლოკირების და მახარისხებელ სამსახურებში განხორციელდა ვიზიტი 2018 წლის **17-18 სექტემბერს,** სადაც მათ წარადგინეს პრეზენტაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, არსებული სიახლეების და პროფესიული სწავლების მომავალი პერსპექტივების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია.

განხორციელებული აქტივობების შედეგად, პროფესიულ სტუდენტთა საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯის მიერ გამოცხადებულ 222 ადგილზე, დარეგისტრირდა **180 აპლიკანტი, რომელთაგანაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 120-მა პირმა.**

15. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო **2018 წლის 3 დეკემბერს;**

16. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში **2018 წლის ნოემბრიდან დღემდე** მიმდინარეობს სამუშაოების წარმოება/შეთანხმების პროცესი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით.